



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 06

2020 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 თებერვლის N5/12803 მომართვის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ განთიადში მდებარე 906 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.21.10.752).
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს მიწაზე (საფეხბურთო მოედანი) განლაგებული კონსტრუქციის დემონტაჟი და შემდგომში მისი დასაწყობება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნაღიმ ვარშანიძე